

სესხების გალარების სახელმწიფო პროგრამის პირობები და მისი შედეგების ფინანსურ ეკონომიკური ანალიზი

ქათამაძე გიორგი – დოქტორანტი, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დეპარტამენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

The Provisions of State Program of Loan Conversion into Lari and the Economical Analysis of its Results

Katamadze Giorgi – PhD Student, Department of Finance, Accounting and Audit, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Abstract

Introduction and aim: The issues of foreign currency loans, their payments and solvency together with the currency fluctuations gradually become actual in modern life. Currency fluctuations in recent years have affected the economy of countries especially such countries as Georgia, they mostly affected individuals and small businesses. As in other countries, most companies and individuals in Georgia extensively use different bank products which differ from each other in sum, the payment provisions and currency. In the moment of getting the loan the client chooses the conditions of his/her monthly or individual payment according to his/her income, but afterwards the currency fluctuation directly affects the solvency of those clients whose credits are in foreign currency. In recent years, the sharp fall in the Georgian Lari and inflation caused public anger swelling and the issue became the main point of governmental discussions. The government had to take all necessary measures against the crisis started as a result of currency fluctuations. As a result of long-term procedures Georgian government made a decision on: "State Program of conversion the bank credits/loans into Georgian Lari and on subsidies of government". The present paper is dedicated to the above-mentioned program and the analysis of all related processes.

Research methodology: Methodology: in the process of the research the quantitative method has been applied in order to define the main trends – by means of the phone survey of the bank representatives. As well as the qualitative method has been applied. Data processing focused on the following issues:

- The documentation required for loan conversion into Georgian Lari;
- Credit interest rate;
- Credit period. The results of the quantitative method were compared to the official information provided by the National Bank of Georgia.

Results and implications: On basis of the research the following results have been obtained: - The National Bank of Georgia did not define the circle of customers who could definitely convert their loans into Georgian Lari; - There is no statistics of the number of customers who requested the credit conversion and the number of customers whose request was rejected; - The program was not appropriately promoted; - Most banks offered the clients the changeable interest rate affected by rate of refinancing of Lari.

Conclusion: The state program of Lariization would be more successful if focused on the following points should have been defined:

1. the maximal interest rate for converted loans;
2. the fixed interest rate in order to eliminate the risks of payment changes;
3. the maximal period of the converted loan;
4. what is meant under non-standard loans and the basis for bank rejection of loan conversion into Lari.

Keywords: Loans, Loan exchange in GEL, Government program, Currency Converting, Currency Rates, State Program.

აბსტრაქტი

მესავალი და მიზანი: უცხოურ ვალუტაში სესხისა და სესხთან დაკავშირებული გადახდისა და გადახდისუნარიანობის საკითხები ვალუტის კურსის ცვალებადობის პარალელურად უფრო და უფრო აქტუალური საკითხი ხდება თანამედროვე მსოფლიოში. ბოლო წლებში ვალუტის კურსის ცვალებადობა განსაკუთრებით ნეგატიურად მოქმედებს ისეთი მგრძობიარე ქვეყნების ეკონომიკაზე როგორც საქართველოა და განსაკუთრებული გავლენა ამ ცვლილებებს ჰქონდა ფიზიკურ პირებსა და მცირე მეწარმეებზე.

ისევე როგორც დანარჩენ ქვეყნებში საქართველოში არსებული კომპანიებისა თუ ფიზიკური პირების დიდი რაოდენობა აქტიურად სარგებლობს სხვადასხვა ბანკების საკრედიტო პროდუქტებით, შესაბამისად ეს პროდუქტები განსხვავდება როგორც თანხის მოცულობით ასევე მისი გადახდის პირობებითა და ვალუტის ერთეულით. სესხის აღების მომენტში მსესხებელი არჩევს მისთვის სასურველ ყოველთვიურ თუ ინდივიდუალურ შენატანს შემოსავლების გათვალისწინებით, მაგრამ სესხის აღების შემდგომ ვალუტის კურსის ცვალებადობა პირდაპირპროპორციულად აისახება იმ ფიზიკური თუ იურიდიული პირების გადახდიუნარიანობაზე რომელთაც სესხი უცხოურ ვალუტაში აქვთ აღებული.

ბოლო წლებში, მას შემდეგ რაც ლარმა მკვეთრი გაუფასურება დაიწყო უცხოური ვალუტების მიმართ და დღითი დღე მატულობდა მოსახლეობის უკმაყოფილება ინფლაციური პროცესების გამო, საქართველოს მთავრობის დღის წესრიგში დადგა აღნიშნული საკითხის განხილვა. სახელმწიფოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება, რომელიც მიმართული იქნებოდა ვალუტის ცვალებადობის შედეგად გამოწვეული კრიზისის ნაწილობრივ დამლევსაკენ.

გრძელვადიანი პროცესების შედეგად, 2017 წლის 11 იანვარს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება: „საბანკო კრედიტის/სესხის საქართველოს ეროვნულ ვალუტაში კონვერსიისა და საქართველოს მთავრობის მიერ სუბსიდირების განხორციელების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, სწორედ ამ პროგრამისა და მასთან დაკავშირებული პროცესების ანალიზს ეხება წინამდებარე ნაშრომი.

ნაშრომის მიზანია:

- იმ სესხების კატეგორიის გარკვევა, რომელთაც არ შეიძლებოდა შეეხებოდა ეს პროგრამა მთავრობის დადგენილებაში ზოგადი, დაუზუსტებელი პუნქტების გამო;
- გალარების სახელმწიფო პროგრამის განხორციელების შედეგების ანალიზი;
- გავანალიზოთ საქართველოს მთავრობის დადგენილება სესხების გალარების შესახებ;
- გალარებული სესხების სისტემატიზაცია მათი კატეგორიებისა და საპროცენტო განაკვეთის მიხედვით;
- ბანკების მიერ მსესხებლებზე შეთავაზებული პირობების ანალიზი;
- სრულ გასალარებელ სასესხო პორტფელთან გალარებული სესხების მოცულობის თანაფარდობის გამოანგარიშება;
- შენიშვნებისა და რეკომენდაციების შეთავაზება, რომელიც სამომავლოდ დაეხმარება მთავრობას მსგავსი პროგრამის უფრო წარმატებულად განხორციელებაში.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის პროცესში გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი ასევე თვისობრივი მეთოდი. კერძოდ, იმისათვის რომ გაგვერკვია ძირითადი ტენდენციები, გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი მეთოდი, წინასწარ მომზადებული კითხვარით მოხდა ბანკის წარმომადგენელთა სატელეფონო ანკეტირება.

მასალების მოპოვების დროს ყურადღება გამახვილებული იყო შემდეგ საკითხებზე:

- სესხის გალარებისათვის საჭირო დოკუმენტაცია პორტირების შემთხვევაში;
- სესხის საპროცენტო განაკვეთი;
- ლარში სესხის ვადა;

რაოდენობრივი მეთოდით მიღებულ ინფორმაციის შედარება და ანალიზი მოხდა ეროვნული ბანკის მიერ მოწოდებულ ოფიციალურ ინფორმაციასთან.

შედეგები და გამოყენება: კვლევამ აჩვენა, რომ

- ეროვნულმა ბანკმა იმპერატიულად არ განსაზღვრა იმ წრის მოცულობა, რომელსაც უპირობოდ შეეძლო სესხის გალარება;
- არ არსებობს სტატისტიკა ბანკებში სესხების გალარების მსურველთა საერთო მიმართვიანობის მოცულობის, კერძოდ რამდენმა პირმა მიმართა ბანკს გალარებისათვის და რამდენს ეთქვა უარი;
- არ იყო დაკონკრეტებული მსესხებლისათვის ბანკის მხრიდან პროგრამაში მონაწილეობაში უარის თქმის საფუძველები;
- პროგრამას ჰქონდა ცუდი სარეკლამო-საინფორმაციო კამპანია, კერძოდ არ არსებობდა ტელევიზიებში საინფორმაციო-შემეცნებითი რეკლამა რომელიც მსესხებლებს მიაწოდებდა დაწვრილებით ინფორმაციას ამ პროგრამაზე, ან სულ მცირე მოუწოდებდა მაინც ბანკებში მისვლისა და დეტალური ინფორმაციის მიღებისაკენ;
- ბანკების უმეტესობა სესხის გალარების პროცესში მსესხებელს სთავაზობდა ლარის რეფინანსირების განაკვეთზე მიბმულ ცვალებად საპროცენტო განაკვეთს;

• ბანკები ვერ სთავაზობდა კლიენტებს ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებს ლარში;

დასკვნა: ვფიქრობ, გალარების სახელმწიფო პროგრამის უფრო წარმატებულად წარმართვისათვის მთავრობის დადგენილებაში დაკონკრეტებული უნდა ყოფილიყო შემდეგი საკითხები:

1. განესაზღვრათ უნდა გალარებული სესხებისათვის მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი, რაც იქნებოდა საფუძველი ბანკებს კლიენტებისათვის შეეთავაზებინა წინასწარგანსაზღვრულ ფარგლებში დაბალი საპროცენტო განაკვეთი ლარში და არ ყოფილიყო დიდი სხვაობა სხვადასხვა ბანკების მიერ შეთავაზებულ საპროცენტო განაკვეთში მაშინ, როცა ეს პროცენტი არის ლარის რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული და ისედაც ზრდის შენატანის ცვალებადობის რისკს.

2. შენატანის ცვალებადობის/ზრდის რისკის შესამცირებლად გალარებული სესხებისათვის უნდა ყოფილიყო დადგენილი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ლარში, ვინაიდან თუ დოლარში არსებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი შენატანს ცვლიდა ვალუტის კურსის ცვალებადობის დროს, ლარის რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხის შენატანი ასევე შეიცვლება რეფინანსირების განაკვეთის ცვალებადობის დროს.

3. განესაზღვრათ უნდა სესხის მაქსიმალური ვადა, ვინაიდან ბანკების ნაწილი ვერ სთავაზობდა კლიენტს მისაღებ ვადას სესხის ლარში კონვერტირების შემთხვევაში, მაშინ როცა აშშ დოლარში გაცემული მიმდინარე სესხები იყო 10 და მეტ წლიანი. აშშ დოლარში გრძელვადიანი სესხების კონვერტიორება ვერ ხდებოდა ლარში, რადგან ზოგ ბანკს ლარში სესხების მაქსიმალური ვადა ჰქონდა 10 წელზე ნაკლები.

4. განესაზღვრათ უნდა კონკრეტულად რა იგულისხმებოდა არასტანდარტულ სესხებში და რა შეიძლებოდა ყოფილიყო ის მიზეზები რის გამოც ბანკს შეიძლება უარი ეთქვა სესხის გალარებაზე, ვინაიდან ბანკების მიეცათ თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალება და უარის მიზეზად შესაძლოა დასახელებულიყო ასევე ვადაგადაცილება სესხზე, მაშინ როცა სწორედ პრობლემურ კლიენტებს უფრო სჭირდებოდა სახელმწიფო პროგრამით მხარდაჭერა.


ზემოაღნიშნული საკითხების დაკონკრეტება საშუალებას მიცემდა როგორც მსესხებელს ასევე ბანკს უფრო მოქნილი და მკაფიოდ გაწერილი პირობებით ესარგებლად, შესაბამისად პროგრამა იქნებოდა წარმატებული, ისარგებლებდა უფრო მეტი მსესხებელი და შესაბამისად იქნებოდა უფრო შედეგიანი მთავრობის მიზნის: „საქართველოს მოქალაქეთა საკრედიტო პორტფელის ლარიზაციის გაზრდისა და შემდგომში მათი განკარგვადი შემოსავლების სტაბილურობის უზრუნველყოფის“ მისაღწევად.

საკვანძო სიტყვები: სესხები, გალარება, ვალუტის კურსი, სახელმწიფო პროგრამა

მთავრობის მიერ გალარების პროგრამის მიზნების და ამოცანების ფორმულირება შემდეგნაირი იყო: „ამ პროგრამის ამოცანაა 2015 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მოქალაქეების მიერ აღებული საბანკო კრედიტების/სესხების საქართველოს ეროვნულ ვალუტაში კონვერსია და საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი სუბსიდირების განხორციელება, საქართველოს მოქალაქეთა საკრედიტო პორტფელის ლარიზაციის გაზრდისა და შემდგომში მათი განკარგვადი შემოსავლების სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით.“ და რატომ შეირჩა 2015 წლის 1 იანვარი? აქვე იყო მეორე განმარტება: „აღნიშნული სქემის მიზანია მომხმარებლებს შევუმსუბუქოთ სესხის მომსახურების ტვირთის ზრდა, რაც გაცვლითი კურსის ცვლილებამ განაპირობა. არსებული გათვლებით, ყველაზე მეტად ეს შეეხო 2015 წლის 1 იანვრამდე გაცემულ სესხებს. მათ ვინც უკვე კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების შემდეგ აიღო სესხი, აღნიშნული ინიციატივა არ ეხებათ, თუმცა მათ აქვთ საშუალება ბანკებს მოელაპარაკონ და გაალარონ სესხები. [1]“

ზოგადი ინფორმაციისათვის 2015 წლის 1 იანვრისათვის 1 აშშ დოლარის ოფიციალური კურსი ქართულ ლართან მიმართებაში იყო 1,8821 ხოლო 2017 წლის 11 იანვრისათვის (პროგრამის დამტკიცების მომენტისათვის) 2,7403 ქართული ლარი.

1 აშშ დოლარის ლართან მიმართება




ამ პროგრამის ფარგლებში გალარდა სესხები იმ მსესხებლების, რომელთა წლიური შემოსავალი 100 000 ლარს არ აღემატებოდა, შემოსავლის გადმოწმებაზე პასუხისმგებლობას კი ბანკი იღებდა და შემოსავლების სამსახურში ამოწმებდა. პროგრამა 17 იანვრიდან 25 მარტამდე გრძელდებოდა და ნებაყოფლობითი იყო როგორც ბანკებისთვის, ისე მათი კლიენტებისათვის. აღნიშნული სესხების გალარების მსურველებზე, რომლებიც პროგრამის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ, სახელმწიფომ 1 აშშ დოლარზე 20 თეთრის (0,2 ქართული ლარი) სუბსიდია გასცა.

გალარების პრინციპი მდგომარეობდა შემდეგში, მსესხებელს სესხის გალარებაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში ბანკი სესხს გაულარებდა იმ მომენტისათვის არსებულ საქართველოს ეროვნული ბანკის ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსს დაკლებული 0,2 ქართული ლარი, მაგალითად თუ გქონდათ სესხი 20.000 აშშ დოლარი და გასურდათ ლარში კონვერტირება და იმ დღის ოფიციალური ეროვნული კურსი დოლარის ლართან მიმართებაში იყო 1 აშშ დოლარი = 2,60 ქართულ ლარს, სესხი გალარდებოდა (2,60-0,20 ლარი) 2,40 კურსით და თუ ჩვეულებრივ 20,000 აშშ დოლარი უდრიდა (20000*2,6) 52000 ქართულ ლარს, სუბსიდირების ფარგლებში სესხის ჯამი იქნებოდა (20000*2,4) 48000 ქართული ლარი-ანუ მსესხებელი სახელმწიფო სუბსიდიის ფარგლებში იგებდა 4000 ლარს.

ეს პროგრამა იყო ერთჯერადი პროექტი, რომელსაც ერთობლივად ახორციელებენ საქართველოს მთავრობა და ეროვნული ბანკი, გალარება ეხებოდა დაახლოებით 400 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სასესხო პორტფელს, გალარების ერთჯერადი პროგრამით კი დაახლოებით 80 მლნ აშშ დოლარამდე (78 659 017 აშშ დოლარი) 5 614 საბანკო სესხი გალარდა-დაახლოებით სრული პორტფელის 20%.

პროგრამის ფარგლებში მოქცეული სესხების მთლიანი პორტფელი და გალარებული სესხები



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულმა ბანკმა გააკეთა ერთი განმარტება, კერძოდ „გირაოში სესხების ჩადების შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ სტანდარტული კატეგორიის სესხები. [2]“, ეს ფაქტიურად ნიშნავდა, რომ ბანკი გალარებდა სესხებს, რომლებიც იყვნენ სტანდარტული ანუ საკუთარი თავისუფალი ინტერპრეტაციით ბანკს შეეძლო მიმდინარე სესხზე გაეკეთებინა დასკვნა მის გალარება-არგალარებაზე. დადგენილების პარალელურად ეროვნულმა ბანკმა მის ელექტრონულ გვერდზე ასევე განათავსა ამ დადგენილების განმარტებები (ამ განმარტებებს წინ უძღოდა შემდეგი ტექსტი: აღნიშნულ ვებგვერდზე განთავსებული პასუხები მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათისაა და ეროვნული ბანკი არ იღებს პირდაპირ თუ არაპირდაპირ პასუხისმგებლობას იმ შედეგებზე, რომელიც შეიძლება მიიღოს ნებისმიერმა პირმა აღნიშნულ ვებგვერდზე განთავსებული პასუხების ან მისგან გამომდინარე ნებისმიერი მონაცემის, ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გამოყენებით.) [3], რომლის მიხედვითაც თითქოს იყო მცდელობა პასუხი გაეცა ყველაზე მნიშვნელოვან შეკითხვაზე, კერძოდ: ვალდებულია თუ არა ბანკი გაულაროს სესხი პრობლემურ მსესხებელს, რომელსაც აქვს მიმდინარე ვადაგადაცილება? მსესხებელს რომელიც სასამართლოზეა გადაცემული?

პასუხი იყო შემდეგი: ვადაგადაცილებული კლიენტი არ იზღუდება სუბსიდირების პროგრამაში მონაწილეობის მიღებისგან, იმ შემთხვევაში, თუ სასესხო ხელშეკრულება არ არის მოშლილი. სესხის გალარება დამოკიდებულია ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთშეთანხმებაზე, პირობები და რისკები უნდა იყოს ორივე მონაწილესთვის მისაღები.


ფაქტიურად, ეროვნულმა ბანკმა იმპერატიულად არ განსაზღვრა იმ წრის მოცულობა, რომელსაც უპირობოდ შეეძლო სესხის გალარება, არადა ლოგიკურად კლიენტს რო-

მელსაც დააწვა ვალუტის ცვალებადობის ტვირთი შესაძებელია ჰქონოდა ვადაგა-დაცილება და სწორედ ამ კატეგორიას ექნებოდა ყველაზე მეტი აუცილებლობა სესხის გალარებაზე.

იყო თუ არა სესხების გალარების სახელმწიფო პროგრამა წარმატებული? ის რომ პროგრამა არ იყო წარმატებული ამას აჩვენებს მასში მონაწილე პირთა რაოდენობა-სრული რაოდენობიდან დაახლოებით 20%, თუმცა ამ ციფრთან დაკავშირებით ჩნდება საერთო ანა-ლიზის გასაკეთებლად მნიშვნელოვანი შეკითხვა: რა რაოდენობის მსესხებელმა გამოხატა სურვილი სესხის გალარების, მაგრამ ვერ მოერგო პროგრამის პირობებს?

ამიტომ სრული და ნათელი სურათისათვის უნდა ყოფილიყო სტატისტიკა ბანკებში საერთო მიმართვიანობის, კერძოდ რამდენმა პირმა მიმართა ბანკს გალარებისათვის და რამდენს ეთქვა უარი, ასევე უნდა ყოფილიყო მონაცემები საშუალო შეთავაზებული საპროცენტო განაკვეთისა და უარის თქმის ძირითადი საფუძვლების შესახებ. ეს მოგვცემდა სრულფასოვანი ანალიზის გაკეთების საშუალებას ზოგადად პროგრამისადმი ინტერესისა და მისი მიმდინარეობის შესახებ. ზოგადად აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამას ჰქონდა ძალიან ცუდი სარეკლამო-საინფორმაციო კამპანია, კერძოდ არ არსებობდა ტელევიზიებში საინფორმაციო-შემეცნებითი რეკლამა რომელიც მსესხებლებს მიაწოდებდა დაწვრილებით ინფორმაციას ამ პროგრამაზე, ან სულ მცირე მოუწოდებდა მაინც ბანკებში მისვლისა და დეტალური ინფორმაციის მიღებისაკენ.

**გალარებული სესხების საპროცენტო განაკვეთები
(სულ გალარებულ სესხებთან მიმართებაში)**



აქვე უნდა აღინიშნოს, ის რომ ბანკების უმეტესობა სესხის გალარების პროცესში მსესხებელს სთავაზობდა ლარის რეფინანსირების განაკვეთზე მიბმულ ცვალებად საპროცენტო განაკვეთს ¹ და ასევე ლარის ექვივალენტში გაცემულ სესხებზე მოკლე ვადას. ვფიქ-

¹ ნაშრომის წერის პროცესში გალარების პროგრამის დაწყებისთანავე ხდებოდა სხვადასხვა ბანკებთან გალარების პირობების გადამოწმება.

რობ ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მსესხებლების მიერ სესხის გალარებაზე თავის შეკავების.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მონაცემები რომლებიც მათ კომერციულმა ბანკებმა მიაწოდეს, გალარებული სესხების საპროცენტო განაკვეთები შემდეგნაირად გამოიყურება: [4]

გალარებული სესხების ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	სესხების რაოდენობრივი წილი
11,01	55,76%
11.01%-13%	20,73%
13.01%-15%	12,70%
15.01-17%	6.04%
17,01%<	4,77

როგორც დიაგრამაზე ჩანს, სესხების მხოლოდ 55,76%-ია რომელიც არ აღემატება 11%-იან ზღვარს, გასათვალისწინებელია, რომ ამ მომენტისათვის რეფინანსირების განაკვეთი 6,75%-ს შეადგენდა, ანუ სულ მცირე ბანკებმა რეფინანსირების განაკვეთზე 4,25%-ით და მეტით გაულარეს სესხები კლიენტების 44,24%-ს.

ზემოაღნიშნული მონაცემებით შეიძლება იმის დასკვნა თუ დაახლოებით რა განაკვეთებს სთავაზობდნენ კომერციული ბანკები მსესხებლებს და შესაბამისად ჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი იმ ერთ-ერთი ფაქტორისა თუ რატომ შეიკავა მსესხებელთა დიდმა ნაწილმა თავი გალარებისგან.

შედეგები: კვლევამ აჩვენა, რომ

- ეროვნულმა ბანკმა იმპერატიულად არ განსაზღვრა იმ წრის მოცულობა, რომელსაც უპირობოდ შეეძლო სესხის გალარება;
- არ არსებობს სტატისტიკა ბანკებში სესხების გალარების მსურველთა საერთო მიმართვიანობის მოცულობის, კერძოდ რამდენმა პირმა მიმართა ბანკს გალარებისათვის და რამდენს ეთქვა უარი;
- არ იყო დაკონკრეტებული მსესხებლისათვის ბანკის მხრიდან პროგრამაში მონაწილეობაში უარის თქმის საფუძველები;
- პროგრამას ჰქონდა ცუდი სარეკლამო-საინფორმაციო კამპანია, კერძოდ არ არსებობდა ტელევიზიებში საინფორმაციო-შემეცნებითი რეკლამა რომელიც მსესხებლებს მიაწოდებდა დაწვრილებით ინფორმაციას ამ პროგრამაზე, ან სულ მცირე მოუწოდებდა მაინც ბანკებში მისვლისა და დეტალური ინფორმაციის მიღებისაკენ;
- ბანკების უმეტესობა სესხის გალარების პროცესში მსესხებელს სთავაზობდა ლარის რეფინანსირების განაკვეთზე მიზმულ ცვალებად საპროცენტო განაკვეთს;
- ბანკები ვერ სთავაზობდა კლიენტებს ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებს ლარში;

დასკვნა: ვფიქრობ, „საბანკო კრედიტის/სესხის საქართველოს ეროვნულ ვალუტაში კონვერსიისა და საქართველოს მთავრობის მიერ სუბსიდირების განხორციელების სახელმწიფო პროგრამის“ [5] უფრო წარმატებულად წარმართვისათვის მთავრობის დადგენილებაში დაკონკრეტებული უნდა ყოფილიყო შემდეგი საკითხები:

1. **უნდა განესაზღვრათ გალარებული სესხებისათვის მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი**, რაც იქნებოდა საფუძველი ბანკებს კლიენტებისათვის შეეთავაზებინა წინასწარგანსაზღვრულ ფარგლებში დაბალი საპროცენტო განაკვეთი ლარში და არ ყოფილიყო დიდი სხვაობა სხვადასხვა ბანკების მიერ შეთავაზებულ საპროცენტო განაკვეთებში მაშინ, როცა ეს პროცენტი არის ლარის რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული და ისედაც ზრდის შენატანის ცვალებადობის რისკს.
2. **შენატანის ცვალებადობის/ზრდის რისკის შესამცირებლად გალარებული სესხებისათვის უნდა ყოფილიყო დადგენილი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ლარში**, ვინაიდან თუ უცხოურ ვალუტაში არსებულ სესხზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ყოველთვის შენატანს ზრდიდა ვალუტის კურსის ცვალებადობის დროს, ლარის რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხის შენატანი ასევე გაიზრდება რეფინანსირების განაკვეთის ზრდის დროს.
3. **განესაზღვრათ უნდა სესხის მაქსიმალური ვადა**, ვინაიდან ბანკების ნაწილი ვერ სთავაზობდა კლიენტს მისაღებ ვადას სესხის ლარში კონვერტირების შემთხვევაში, მაშინ როცა აშშ დოლარში გაცემული მიმდინარე სესხები იყო 10 წლიანი და უფრო გრძელვადიანი. აშშ დოლარში გრძელვადიანი სესხების კონვერტიორება ვერ ხდებოდა ლარში, რადგან ზოგ ბანკს ლარში სესხების მაქსიმალური ვადა ჰქონდა 10 წელზე ნაკლები.
4. **განესაზღვრათ უნდა კონკრეტულად რა იგულისხმებოდა არასტანდარტულ სესხებში და რა შეიძლებოდა ყოფილიყო ის მიზეზები რის გამოც ბანკს შეიძლება უარი ეთქვას სესხის გალარებაზე**, ვინაიდან ბანკების მიეცათ თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალება და უარის მიზეზად შესაძლოა დასახელებულიყო ასევე ვადაგადაცილება სესხზე, მაშინ როცა სწორედ პრობლემურ (ან პერიოდულად ვადაგადაცილებაში მყოფ) კლიენტებს უფრო სჭირდებოდა სახელმწიფო პროგრამით მხარდაჭერა.

ზემოაღნიშნული საკითხების დაკონკრეტება საშუალებას მიცემდა როგორც მსესხებელს ასევე ბანკს უფრო მოქნილი და მკაფიოდ გაწერილი პირობებით ესარგებლად, შესაბამისად პროგრამა იქნებოდა წარმატებული, ისარგებლებდა უფრო მეტი მსესხებელი და შესაბამისად იქნებოდა უფრო შედეგიანი მთავრობის მიზნის: „საქართველოს მოქალაქეთა საკრედიტო პორტფელის ლარიზაციის გაზრდისა და შემდგომში მათი განკარგვადი შემოსავლების სტაბილურობის უზრუნველყოფის“ მისაღწევად.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, გალარების სახელმწიფო პროგრამა-განმარტებები, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=653> (09.06.2017);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი, პრესრელიზები, ინფორმაცია გალარების მხარდამჭერი ინსტრუმენტების შესახებ, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=339&n&newsid=3030> (08.05.2017);
3. საქართველოს ეროვნული ბანკი, გალარების სახელმწიფო პროგრამა, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=655> (09.06.2017);
4. საქართველოს ეროვნული ბანკის პასუხი, წერილი N2-14/1733-08/05/2017 წ.;
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება №1, 2017 წლის 11 იანვარი, „საბანკო კრედიტის/სესხის საქართველოს ეროვნულ ვალუტაში კონვერსიისა და საქართველოს მთავრობის მიერ სუბსიდირების განხორციელების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.